



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

№ 14

ქ. ბათუმი

2019 წლის 28 ნოემბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ მ ბ ო ზ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაზიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვი- თარების კომისიის თავმჯდომარე;
თემურ კახიძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემო- კრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგი- ლე;

ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	საკრებულოს წევრი.

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე, იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ზადრი წულუკიძე; პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე-საზოგადოებას. ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს 21 ნოემბრის ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო 3 საკითხი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა დამატებით 13 საკითხი, რომლებიც განხილული იქნა შესაბამის საკრებულოს კომისიის სხდომებზე. საკრებულოს 27 ნოემბრის ბიუროს გადაწყვეტილებით ორი საკითხი ამოღებულ იქნა, ამდენად, დღეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 14 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 2.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ქ. ბათუმი, თამარის დასახლება თამარ მეფის გზატკეცილი, ს/კ05.30.20.012)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ირაკლი ცქვიტინიძე - ქ. ბათუმი, ამაღლების ქუჩა, I შესახვევი N3; ს/კN05.34.23.017)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(რევაზ გოგიტიძე - ქ. ბათუმი, ახალსოფლის დასახლება; ს/კ N05.36.21.150; N05.36.21.107; N05.36.21.081; N05.36.21.151)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „დიზაინ ჯგუფი“:

ქ. ბათუმი, ანგისის I ჩიხი N5ა, ს/კ 05.32.12.042;

ქ. ბათუმი, ანგისი I ჩიხი N5, ს/კ05.32.12.041;

ქ. ბათუმი, ანგისი I ჩიხი N7, ს/კ05.32.01.194;

ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი ს/კ05.32.12.223)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ (ს/კ205050567)

ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N117ბ, ს/კ05.26.03.013)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „ნიუ სფეისი“ (ს/კ445553945)

ქ. ბათუმი, ს. ხიმშიაშვილის ქ. N16-18 და გორგასალის ქ. N113; ს/კ05.23.27.018)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 13.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „ნიუ ჰაუსი“ (ს/კ445533085))

ქ. ბათუმი, მესხეთის I შესახვევი N8 და N12; კახაბრის I ჩიხი N68 და N70 და დასახლება ანგისა

ს/კ N05.32.01.153; N05.32.01.149; N05.32.01.025; N05.32.01.304; N05.32.01.004)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „ჰორიზონს ჯგუფი-ჩაქვი“ (ს/კ445555426))

ქ. ბათუმი, მეზღვაურთა ქ. N16; მეზღვაურთა ქ. N12; დაბა ჩაქვი; დაბა ჩაქვი N22; ბახტაძის ქ. N22; მეზღვაურთა ქ. N7

N05.33.21.137; N05.33.21.115; N05.33.21.521; N05.33.21.508; N05.33.21.140; N05.33.21.163; N05.33.21.051)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, მან ქალაქის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით გააკეთა განცხადებები, კერძოდ: ბაქოს ქუჩაზე თევზის ბაზრობის ტერიტორიაზე ეკოლოგიურად ცუდი მდგომარეობის თაობაზე და მიმართა ქალაქის მერიის ხელმძღვანელობას ტერიტორიის ხელმძღვანელთან გაიმართოს მოლაპარაკება შესათანხმებლად, რადგან ტურისტული ქალაქია და ეს არის ქალაქის სახე, ასევე ქალაქში ქვაფენილები არის დაზიანებული, ავარიული, შესაბამისი სამსახური არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და სამრეწველო ზონიდან სატვირთო ავტომანქანები გაუწმენდავი საბურავებით ასფალტის საფარს აბინძურებენ. მან აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტით დასრულდეს ქალაქის წყლისა და კანალიზაციის საკითხების მოგვარება.

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ აღნიშნა, რომ ტერმინალის ტერიტორიაზე მიმდინარეობს უკანონო სამუშაოები, აღნიშნული ტერიტორია არის რეკრეაციული

ზონა, მიმდინარეობს გადათხრები და რეზერვუარის ჩაყენება, მერიას მიმართა ამ საკითხზე დაინტერესება და პასუხისმგებელი პირების მიერ აღნიშნული მდგომარეობის აღკვეთა.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ ძველ ბათუმში გამსახურდიას, ქუთაისის და აბაშიძის ქუჩების ნაწილში დგას ამკრძალავი ნიშნები, რაც ზღუდავს მანქანის გაჩერებას, თუმცა მსუბუქი ავტომანქანები მაინც არის გაჩერებული საათობით და თვეობით. მიმართა თხოვნით ქალაქ ბათუმის მერიას საჯარიმო ქვითრის გამოწერა ან საჯარიმოზე გადაყვანა, ასევე ქალაქში მოსაწესრიგებელია გარე ფასადებზე რეკლამირების საკითხი, მაგალითად, სლოტკლუბებს ათვისებული აქვთ ტერიტორიები.

საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილს აინტერესებს დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე რვა სართულის უკანონოდ აშენების საკითხი. მერიის შესაბამისი სამსახურებიდან ჩვენ და მოქალაქეებმაც მიიღო პირობა, რომ მოხდებოდა ამ მშენებლობის შეჩერება ან დემონტაჟი. კორპუსი ისევ იქ დგას და ისევ უკანონოა. აღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში დგას – ჯერ აშენებენ და შემდეგ ითხოვენ ნებართვას. ეს ყველაფერი დისკომფორტს უქმნის ქალაქს და ითხოვს, რომ ცოტა უფრო მკაცრები იყვნენ ასეთ საკითხებთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ მიმართა ქალაქის ვიცე-მერს ჯაბა ტულუშს, რომ საკრებულოს სხდომაზე მის შემოსვლამდე მკაცრი განცხადებები იქნა გაკეთებული, ამდენად შემდგომ მორიგ სხდომამდე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხები იქნას მოწოდებული.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 31 ოქტომბრის №01-01-10/5381 (№28025/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში, მდინარე ჭოროხის სანაპიროდან მარჯვენა მხარეს, მიმდინარეობს „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის პროექტის არეალში მოქცეულია შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილი (ს/კ 05.35.25.119). შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით, მოთხოვნილია ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთ აღნიშნული ქონება საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, შემდგომში შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი: -0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 24 ოქტომბრის №2315/02 წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ა.რ./ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2017 წლის 08 დეკემბრის №12 და 2018 წლის 22 ივნისის №14 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა, განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმი, ხასან ჰემილიშის ქ. №1-ში მდებარე 2 837,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა №1 და №2 (ს/კ 05.32.01.488); ქ. ბათუმი, კოწია ერისთავის ქ. №4-ში მდებარე 4 818,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1021,80 კვ.მ. შენობა ნაგებობა №1-დან №9-ის ჩათვლით (ს/კ 05.35.28.173) აჭარის



ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისთვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის 26 აპრილის №1/1-1032 და 2019 წლის 22 მაისის №1/1-1299 ბრძანების შესაბამისად აღნიშნული უძრავი ქონებები საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აქედან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, იქ მცხოვრებ მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები ოჯახებისთვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 3. „შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსებისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. ელექტრონული აუქციონის ფორმით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხული ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსებისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს შემოსავლების ზრდა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:** საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილმა

ქალაქ ბათუმის მერიას მიმართა თხოვნით, რომ აუქციონი ჩატარდეს პირობიანი და პირობაში ჩაიწეროს აზარტული თამაშების (კაზინოების) რეკლამის გარეშე, რადგან ადამიანები შეპყრობილი არიან მსგავსი დაავადებით და მიდიან ფატალურ შედეგამდე.

საკრებულოს წევრი მუხამედ ართმელაძე მხარს უჭერს, რადგან ეს არის დაავადება, როგორც ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, რომელსაც სჭირდება მოფრთხილება, ასევე 20 წლით - ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა ხანგრძლივია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააუქციონო პირობებში ერთ-ერთ მუხლად ჩაწერილი იქნება, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საბაზრო ფასის მიხედვით მოხდება დარეგულირება.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე მ. ართმელაძეს ეთანხმება ხანგრძლივი ვადის გაზრდასთან დაკავშირებით, შესაძლებელია 5 ან 10 წლით გადაცემა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვადა აუდიტის დასკვნის საფუძველზე დადგინდა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი კორექტირებული სახით იქნა შემოტანილი, რადგან კვლევის შედეგად ერთ-ერთ ფართში ტექნიკური შეცდომა იყო.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

**ა ზ რ ი  
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ საპრივატიზაციო საწყის ფასებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის დასახლებაში საწყისი ღირებულებაა 200 ლარი, ხოლო ზღვისპირა ზოლში 500 ლარი, რომელიც დაბალია და რითი ხდება ხელმძღვანელობა?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეფასებას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც ვალდებულია კანონმდებლობის ფარგლებში წარმოადგინოს დასკვნა რეალობიდან გამომდინარე.

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართიმელაძემ წამოაყენა წინადადება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს სამშენებლო კომპანიების მიერ წარმოებულ მშენებლობებთან, ამდენად მოხდეს მათთან შეთანხმება მიწის ნაკვეთების გადაცემის სანაცვლოდ ბინების გადმოცემა.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ აღნიშნა, რომ ქალაქს სჭირდება საბავშვო ბაღები, ამდენად სამშენებლო ფირმას უსასყიდლოდ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ დაევალოს ბაღის მშენებლობა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 1(რ. თავართქილაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

პროექტის არსია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 1(რ. თავართქილაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.  
(ქ. ბათუმი, თამარის დასახლება თამარ მეფის გზატკეცილი, ს/კ05.30.20.012)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღება და ქ. ბათუმში, თამარის დასახლება თამარ მეფის გზატკეცილზე, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №05.30.20.012-ზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ირაკლი ცქვიტინიძე - ქ. ბათუმი, ამაღლების ქუჩა, I შესახვევი N3; ს/კN05.34.23.017)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ირაკლი ცქვიტინიძის განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთზე: N05.34.23.017 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ბათუმში, ამაღლების ქუჩა, I შესახვევი, N3-ში.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქგეგმარებითი კუთხით არასრულყოფილად ჩამოყალიბებულ გარემოში, უსისტემოდ, საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტები, თუმცა შესაბამისი ინფრასტრუქტურა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, მხოლოდ ურბანულ გამართლებულ და ლოგიკურ კონტურში. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. არსებული ფუნქციური ზონა არ იცვლება და რჩება საცხოვრებელი ზონა - 5, შესაბამისი მაჩვენებლებით; კ1=0,5; კ2=1,8; კ3=0,3. საპროექტო შენობის სართულიანობა 8-9 სართული დეტალურად იქნება წარმოდგენილი პროექტის სტადიაზე. წარმოდგენილი ესკიზი პირობითია და დაზუსტებული წარმოდგენილი იქნება დამკვეთის მიერ პროექტის სტადიაზე. საპროექტო ტერიტორია არის კერძო საკუთრება და დაგეგმვის ამოცანაა თანამედროვე მრავალბინიანი საცხოვრებელი უბნის ჩამოყალიბება, მოწესრიგებული მწვანე სივრცეების მოწყობა, დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომებით, განაშენიანების ლოგიკური განვითარებით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(რევაზ გოგიტიძე - ქ. ბათუმი, ახალსოფლის დასახლება; ს/კ N05.36.21.150; N05.36.21.107; N05.36.21.081; N05.36.21.151)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

**მიზანი:** რევაზ გოგიტიძის განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთზე: N05.36.21.150; N05.36.21.107; N05.36.21.081; N05.36.21.151 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. მიწის ნაკვეთები მდებარეობს ქ. ბათუმი, ახალსოფლის დასახლებაში, სამშენებლო ტერიტორიის საერთო ფართობი 4652 კვ.მ. სამშენებლო ტერიტორია ფუნქციური ზონის მიხედვით მიეკუთვნება სსზ-1-ს სადაც დადგენილი კოეფიციენტებია კ1-0.6, კ2-3.0

წარმოდგენილი წინადადებით მოთხოვნილია არსებული კოეფიციენტების ცვლილება შემდეგი მნიშვნელობით: კ1 -0.6, კ2-7.5 შენობა ნაგებობების სართულიანობა: საცხოვრებელი ნაწილი - 25-27 სართული, სასტუმრო კომპლექსი - 14-16 სართული.

საპროექტო ობიექტი მოიცავს მრავალფუნქციური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსის მშენებლობას. გათვალისწინებული იქნება სასტუმრო, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლები, მიწისქვეშა და მიწისზედა, ასევე ღია ავტოსადგომები; კაზინო, საცურაო აუზი, ფიტნეს კლუბი, კაფე-რესტორნების ქსელი, სავაჭრო ფართები. ჯამურად დაგეგმილია 10 000 000 ევროს ინვესტიციის განხორციელება.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დღეისათვის განთავსებულია ორსართულიანი სავაჭრო ცენტრი და სამსახრთულიანი საოჯახო სასტუმრო, ამოტრიზებული დროებითი ნაგებობები.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 9.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „დიზაინ ჯგუფი“:

ქ. ბათუმი, ანგისის I ჩიხი N5ა, ს/კ 05.32.12.042;

ქ. ბათუმი, ანგისის I ჩიხი N5, ს/კ 05.32.12.041;

ქ. ბათუმი, ანგისის I ჩიხი N7, ს/კ 05.32.01.194;

ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი ს/კ 05.32.12.223)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

**მიზანი:** შპს „დიზაინ ჯგუფის“ განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.12.042; N05.32.12.041; N05.32.01.194; N05.32.12.223 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. განმარტებითი ბარათის მიხედვით საკვლევ ტერიტორიაზე განაშენიანებულია როგორც ინდივიდუალური 1-3 სართულიანი (ბარაკის ტიპის), ისე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-ში, სადაც დადგენილია შემდეგი პარამეტრები: კ1=0,6; კ2=3,0; კ3=0,1.

ჩატარებული კვლევის ანალიზზე დაყრდნობით დამკვეთს მიზანშეწონილად მიაჩნია, დადგენილი კოეფიციენტების გაზრდა შემდეგი მაჩვენებლებით: კ1=0,6; კ2=8,5; კ3=0,1.

საპროექტო ნაკვეთზე დაგეგმილია 2 ოცდაათ სართულიანი სასტუმროს ტიპის შენობის პროექტირება, რომელიც ითვალისწინებს დახურული, ერთსართულიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობას, ასევე ტერიტორიაზე განთავსდება ღია ავტოსადგომი, დასასვენებელი და გამწვანებული ზონა. დამკვეთის განმარტებით საპროექტო ობიექტი დააკმაყოფილებს დღეისთვის არსებულ კანონმდებლობას და სტანდარტებს. ასევე დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები და წესები. იგეგმება 12 000000 (12 მილიონი) დოლარის ინვესტიციის განხორციელება, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავსაზრისით. შეიქმნება სამუშაო ადგილები, სამუშაოთა შესრულების პროცესში დასაქმდება 150 ადამიანი, რომლის ძირითადი ნაწილი იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ შენობაში განთავსდება კომერციული და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. (საოფისე ფართები, მაღაზიები; კაფე-რესტორნები; სასტუმროს ნომრები; სპორტული თუ ბავშვთა გასართობი ცენტრი და ა. შ, რაც დამატებით შექმნის მუდმივ სამუშაო ადგილებს.

მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს დაახლოებით 4203.00 კვ.მ. ზოგადად საკვლევი ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით. წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ სამომავლოდ დაგეგმილი საპროექტო გზები და ინფრასტრუქტურა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ (ს/კ205050567)  
ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N117ბ, ს/კ05.26.03.013)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად



ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, ხოლო პროექტის მიზანია: შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ (ს/კ205050567) განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთზე: N05.26.03.013 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში, რომლის ფართობი არის 11 851 მ<sup>2</sup> დამკვეთის მიზანია ტერიტორიაზე განვითარდეს საგანმანათლებლო კომპლექსი, კერძოდ, უნივერსიტეტი, სკოლა, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი და უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსი.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ - თვითმმართველი ქალაქ ბათუმის 2019 წლის 30 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად არ განსაზღვრას, იმ ობიექტებზე მოსაკრებლის გადახდის წესს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდევინება განხორციელდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტით (კ1) განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად და გავიდა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ ვინაიდან მოქმედი სამშენებლო რეგულაციების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში ხდება „ახალი მშენებლობის ნებართვის“ გაცემა, მასზე სრულად უნდა გავრცელდეს „ახალი მშენებლობის ნებართვის“ გაცემისათვის მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 12.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „ნიუ სფეისი“ (ს/კ445553945) ქ. ბათუმი, ს. ხიმშიაშვილის ქ. N16-18 და გორგასალის ქ. N113; ს/კ05.23.27.018)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, პროექტის მიზანია: შპს „ნიუ სფეისის“ (ს/კ445553945) განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთზე: N05.23.27.018 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ბათუმი, ს. ხიმშიაშვილის ქ. N16-18 და გორგასალის ქ. N113-ში. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში, სადაც დადგენილია შემდეგი კოეფიციენტები: კ1=0,5; კ2=2,2; კ3=0,1. მიწის ნაკვეთის ფართობია 2133 კვ.მ, სადაც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

წარმოდგენილი წინადადებით მოთხოვნილია არსებული კოეფიციენტების ცვლილება შემდეგი მნიშვნელობით: კ1 -0,5, კ2-8,5 შენობა-ნაგებობების სართულიანობა: 14- სართული.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 13.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.  
(შპს „ნიუ ჰაუსი“ (ს/კ445533085)  
ქ. ბათუმი, მესხეთის I შესახვევი N8 და N12; კახაბრის I ჩიხი N68 და N70 და დასახლება ანგისა, ს/კ N05.32.01.153; N05.32.01.149; N05.32.01.025; N05.32.01.304; N05.32.01.004)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, პროექტის მიზანია: შპს „ნიუ ჰაუსი“-ს (ს/კ445533085) განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.01.153; N05.32.01.149; N05.32.01.025; N05.32.01.304; N05.32.01.004 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. მიწის ნაკვეთები მდებარეობს ქ. ბათუმში, მესხეთის I შესახვევი N8 და N12; კახაბრის I ჩიხი N68 და N70 და დასახლება ანგისაში. დაგეგმილია მრავალბინიანი 25 სართულიანი (სავარაუდოდ) კორპუსის მშენებლობა. მშენებლობაზე დაგეგმილია 20 000 000 ლარის ინვესტიცია. დასაქმდება დაახლოებით 50 ადამიანი. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 6-ში. სადაც დადგენილია კოეფიციენტები: კ1=0,5; კ2=2,2, კ3=0,1. საპროექტო წინადადება ითვალისწინებს კ2 კოეფიციენტის გაზრდას 8,0 მდე.

შენობა ნაგებობების ტექნიკური მაჩვენებლები დაზუსტებდა გრგ-ს კვლევის ეტაპზე.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(შპს „ჰორიზონს ჯგუფი-ჩაქვი“ (ს/კ445555426)

ქ. ბათუმი, მეზღვაურთა ქ. N16; მეზღვაურთა ქ. N12; დაბა ჩაქვი; დაბა ჩაქვი N22; ბახტაძის ქ. N22; მეზღვაურთა ქ. N7 N05.33.21.137; N05.33.21.115; N05.33.21.521; N05.33.21.508; N05.33.21.140; N05.33.21.163; N05.33.21.051)

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, ხოლო პროექტის მიზანია: შპს „ჰორიზონს ჯგუფი-ჩაქვს“ (ს/კ445555426) განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.33.21.137; N05.33.21.115; N05.33.21.521; N05.33.21.508; N05.33.21.140; N05.33.21.163; N05.33.21.051 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. დასაქმდება 500-მდე ადამიანი. საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 50 000000 ლარს.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

